საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 25 დეკემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან აღარ უბრუნებს და არც შესწორების მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ მისამართზე: Тифлис, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 279 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 279

გულდამწვარი გურული ამხანაგები მწუხარებით აუწყებენ მშობლებს და ამხანაგებს სახალხო გვარდიის არტილერისტის

## გერმანე ბიჭიას ძე მარშანიშვილის

გმირულად დაკარგვას, რომლის დაკრძალვა მოხდება სამების ეკლესიის გალავანში დღეს, ხუთშაბათს, 26 დეკემბერს. (3—2)

---

თავ-ზარდაცემული დედა ეკა, ძმა გიორგი, დები: ფატიმე, ფეფოსი, მაკრინე, ბარბარე და მელტია, სიძე ფირნოზ ჭეიშვილი, დის შვილები: თეკლე, ვასილი, ლუკა, კოლია, თათრ ხანე და კალიუფა წერეთლები, ფუცა, მოსე, ილიკო, მინადორა, მაგდანე და მარია ჭეიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ ძვირფასი

## გერმანე ბიჭიას ძე მარშანიშვილის

გარდაცვალებას, რომელიც გმირულათ დაეცა ბოლნისის ბრძოლის ველზე 19 დეკემბერს. დასაფლავება მოხდება სოფ. სამების (გურია) ეკლესიის გალავანში, ხუთშაბათს, 26 დეკემბერს. (3—2)

---

ღრმად დამწუხრებული მატა, გიორგი და შალიკო მახარაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ დაუვიწყარი თავდადებული ამხანაგის სახალხო გვარდიის არტილერისტის

## გერმანე ბიჭიას ძის მარშანიშვილის

თავის მოვალეობის მტკიცეთ ასრულების დროს ეკატერინოფელდის ბრძოლის ფრონტზე 19 დეკემბერს, გმირულათ გარდაცვალებას. ცხედარი თფილისიდან 22 დეკემბერს გურიაში, სოფელ სამებაში წაასვენეს. დაასაფლავებენ ხუთშაბათს, 26 დეკემბერს.

---

პროფესიონალური სექციის წევრები სამ. ტფილისის რკ. გზ. მოსამსახურე კონდუქტორებისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს პროფესიონალური კავშირის წევრის

## ნესტორ კარჯანაძის და კონსტანტინე ებიტაშვილის

სიკვდილს, რომლებიც გმირულათ დაეცნენ სომხეთა შოვინისტურ პარტიასთან შეტაკების დროს. (2—1)

---

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ეფემია სოლომონის ასული და შვილები: ვალოდია, მიშა, ალექსანდრე, მარუსა და გრიშა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს

## ნიკოლოზ მიხეილის ძე ხატიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან ვარვარინის ქუჩა № 14, ხუთშაბათს 26 დეკემბერს, ნავთლუხში, წმინდა ბარბარეს ეკლესიაში. დასაფლავება მოხდება იქვე.

---

ღრმად დამწუხრებულნი: მამა, ძმები მალაქია და იასონი გიორგობიანები, ძიცოლები: ნინა და აგრაფინა, დიდა ასპიროზი თავის ქმრით ვ. კაციტაძეთი აუწყებენ ყველა ნაცნობთ და ნათესავთ, რომ უდროოდ გარდაცვალებულ პირველის შვილის, მეორეთა დისწულის და მესამეთა მეუღლის შვილის

## ვარლამ ანტონის ძე სულაძის

გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს 25 ქრისტეშობისთვეს (ელექტრონის ტუპიკი, სახლი № 3, მეჩნიკოვის ქუჩის გაგრძელება).

---

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: იოსებ და ალექსანდრა ირემაშვილები, ბაბა გიორგი, ძმა გოგია და დაი ელენე აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 25 ქრისტეშობისთვეს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი ასულის

## მ ა რ ი ა მ ი ს

სულის მოსახსენებლათ ქვაშვეთის ეკლესიაზე.

---

გორის მაზრაში **ახარჩევია თოთხმეტი მოსამართლე.** ჯამაგირი მომატებულია. თხოვნები 1919 წლის 15 იანვრამდე მიიღება.

(2—2) **გორის სამაზრო ერობის გამგეობა.**

# ომის სათავე

ბევრს ჰგონია, რომ ომი ჰქროს, ან მისთანების ავანტიურამ შეჰქმნა და მოამზადა. ასეთი შეხედულება მეტი რომ არა ვთქვათ, სრულიად ცალმხრივია. მარტო ერთი ორი პირის მოუფიქრებელ ნაბიჯს და აჯანყების სურვილს არ შეეძლოა ასეთი ალის დანთება.

მთავარი სოციალური მიზეზი საქართველო-სომხეთის ომისა, უნდა ვეძიოთ სომხის ბურჟუაზიულ წრეების ეკონომიურ ინტერესების სფეროში. სომხის ბურჟუაზია ამიერ კავკასიაში შედარებით ყველაზე ძლიერია ეკონომიურათ. რუსეთის მფლობელობა კავკასიაში მის ასეთ უპირატესობას აქამდე მაინც ოდნავათაც არ ემუქრებოდა. პირიქით, სისუსტე რუსეთის მმართველობის საკუთესო თავდები [illegible] მათი ბატონობის.

მთავარი ბაზა ამ ბატონობისა კი არის თფილისი და ბაქო. პირველი, როგორც ცენტრი მთელი კავკასიის, მეორე, როგორც დიდი სამრეწველო ქალაქი.

ჩვენ ვიცით, როგორ იბრძოდა სომხის ბურჟუაზია ბაქოსათვის. როგორ უერთდებოდა იგი ხან ბოლშევიკებს, ხან ესერებს, ხან ვის, ოღონდ კი ბაქო აზერბეიჯანისათვის ხელიდან გამოეტაცა. ამ ჟამათ ასე თუ ისე ამ ბრძოლამ ბაქოში ინგლისის ჯარის დაბანაკებამდე მიიყვანა საქმე. ახლა დარჩა მეორე ცენტრი: თფილისი, ეს ციხე სიმაგრე საქართველოს დემოკრატიისა, დედა ქალაქი ჩვენი რესპუბლიკისა.

აქ ბატონობას თვალწინ ეხხარებოდა ორი გარემოება: დამოუკიდებელი საქართველო და მასში დემოკრატიის ბატონობა. პირველი მას აქ მოსულ, გარეშე ელემენტად ხდის და ამ რიგათ ეკონომიური ბატონობის პოლიტიკის საფუძველს აცლის.

მეორე კი—მას ქართველ ბურჟუაზიასთან ერთად დემოკრატიის ზომებისთვის დამორჩილებას უქადის. დემოკრატიის წინაშე მორჩილებას კი იგი ჩვეული არაა. თავის ერში დაშნაკელების მეოხებით იგი განუყოფელი გამგე-პატრონი იყო. გლეხებს და მუშების დიდ ნაწილსაც თავის ჰანგებზე ამღერებდა: ათმებდა, აჯანყებდა, აწყვეტინებდა თავის თავს და მეზობლებს, მხოლოდ მუდმივ თავის ერთგულებაში კი ინახავდა.

და მთავარი სათავე ამ აჯანყებების ყოველთვის იყო თფილისი. აქ, აქაურ ბურჟუაზიის, ფინანსისტების, მსხვილ მრეწველ ვაჭრების წრეებში ინასკვებოდა აჯანყების კვანძი.

და ახლაც საქართველოს და სომხეთის ომი აქედან ნაკარნახევია. ერევნის მთავრობას არც შეძლება ჰქონდა და არც უნარი ბრძოლისა. მის გამბედაობას, მის პოლიტიკურ ხაზს თფილისი უკარნახებდა.

ამიტომ მთავარი დამნაშავე ომისა სომხის ავანტიურისტებთან და ერევნის მთავრობასთან ერთად არის თფილისის ბურჟუაზია. ამ ომის მოგებით სომხეთისაგან პირველად ყოვლისა ის დარჩება მოგებული, ის გაბატონდება მთელ თფილისზე და აქედან მთელ ამიერ კავკასიაზე. ომის წაგებით სომხების მიერ იგი დაკარგავს აქ თავის ერთ ძლიერ სიმაგრეს და იძულებული გახდება საქართველოს დემოკრატიის მორჩილება აღიაროს.

ბევრსა ჰგონია, რომ მის ალაგს აქ დაუყონებლივ ქართველი ბურჟუაზია გაბატონდებაო. ეს დიდი შეცდომაა. მართალია ეკონომიურათ ქართველი ბურჟუაზია ამით დიდათ მოღონიერდება, წელში გაიმართება, მაგრამ სა ქართველოს დემოკრატია კიდევ უფრო გაძლიერდება და ფრთას გაშლის.

სომხეთის დამარცხებით საქართველოს დემოკრატია დაამარცხებს უძლიერეს მტერს ყოველი დემოკრატიისას: სოლოლაკის პლუტოკრატიას, სომხის ფინანსისტ მრეწველ-ვაჭართა რეაქციონურ არმიას და ამით საბოლოოთ გასწმენდს ნიადაგს დემოკრატიის ბატონობისათვის.

ამიტომ საქართველო სომხეთის ომი საქართველოს დემოკრატიისთვის არის ომი იმ დემოკრატიულ წყობილების განსამტკიცებლათ, რომელსაც რევოლუციის პირველ დღიდან შევხარით და რომელსაც ვიცავდით ბოლშევიკებისა, ოსმალეთის ჯარისა, და სხვა ყოველგვარ რეაქციონერებისაგან.

ბორჩალოს მაზრის საკითხი ამ ომში არის საკითხი სახელმწიფო საზღვრების იმიტომ, რომ იგი არის საკითხი თფილისის შენარჩუნების. ბორჩალოს დაკარგვით, ჩვენ ვკარგავთ თფილისს, ვკარგავთ დემოკრატიას. ბორჩალოს გასწმენდით სომხეთა ჯარისაგან, ჩვენ ვამაგრებთ თფილისის დემოკრატიულ სულის კვეთებას, დემოკრატიულ მისწრაფებებს. სომხებსაც ბორჩალო მხოლოდ ამ მხრივ აინტერესებთ. მათ უნდათ თფილისი ჩაიგდონ ხელში, ან გარეშე ძალა მაინც გახადონ თფილისის პატრონათ, რომ ამით ჩვენი დამოუკიდებლობა დაამხონ, ე. ი. დამოუკიდებლობა დემოკრატიის, რაიც ამასთან არის დაკავშირებული.

მაგრამ, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს დემოკრატია ამ ჟამათაც ისეთსავე მხნეობას და თავდადებას გამოიჩენს, როგორც აქამდე გამოუჩენია, და სომხის ბურჟუაზიის რეაქციონურ მისწრაფებებს ერთხელ და სამუდამოთ გაუთხრის სამარეს.

# ომი და წვრილი ერები

დემოკრატიზმი და ინტერნაციონალიზმი,— აი ის ორი მთავარი ბურჯი, რომელსაც იმ თავიდანვე ეყრდნობოდა ჩვენი პარტია თავის მუშაობის დროს. დემოკრატიულ და ინტერნაციონალურ იდეებს დაუღალავათ სთესდა იგი ოცდა ხუთი წლის განმავლობაში. და დღეს, როდესაც ჩვენი პარტია და მის უმრავლესობისაგან შემდგარი მთავრობა სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვის, დღეს მისი ნამუშევარი უხვს მოსავალს იძლევა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მთელი ჩვენი დემოკრატია, როგორც ერთი კაცი მზათ არის ფეხზე დადგეს, მტრის ტყვიას გული შეუშვიროს და დაიცვას რესპუბლიკის მთავრობა შემოსეულ მტრისაგან. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ შეხვდა ჩვენს ბრძოლას მოწინავე დემოკრატიის საუკეთესო გამომხატველი მუშათა დეპუტატების საბჭო, დღეს ჩვენ მოგვდის აუარებელი დამტკიცება იმისა, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოს სულიერი განწყობილება ნამდვილი გამოხატულებაა მთელი პროლეტარიატის სულიერ განწყობილებისა: ჩვენ უკვე ვიცით, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოს რეზოლუციის აზრს უკვე შეუერთდნენ ტრამვაის მუშები, არსენალის, რკინის გზის სტამბების მუშები, მეტალისტების პროფესიონალური კავშირი, აზერბეიჯანის სოციალისტური პარტიები და სხ. და სხ. მთელი დემოკრატია, განურჩევლად ეროვნებისა, პარტიებისა და ქვეშევრდომობისა დღევანდელ ომის დამწყებათ სთვლის სომხეთის მთავრობას და მის ხელმძღვანელ პარტიას.

არა ნაკლები ნაყოფი მოიტანა ჩვენმა ინტერნაციონალიზმმა. ჩვენს დემოკრატიას გამოეხმაურენ საქართველოს საზღვრებში მცხოვრები ნაციონალური უმცირესობანი. და ეს გამოხმაურება არ სტოვებს არავითარ ეჭვს იმის შესახებ, თუ როგორი თვალით უცქერიან წვრილი ერები საქართველოს რესპუბლიკას და მის სათავეში მდგომს დემოკრატიულ მთავრობას.

ჯერ კიდევ საქართველო სომხეთის ომის დაწყებამდის ჩვენ არა ერთი დამტკიცება მიგვიღია იმისა, თუ როგორი თანაგრძნობა მოიპოვა საქართველოს დემოკრატიამ მეზობლათ მცხოვრებ ერებში. ჩვენ გვახსოვს, რა აზრი გამოსთქვეს სოჭის ოლქის მცხოვრებლებმა, რომლების წარმომადგენლებმა გადაჭრით არჩიეს ყოფნა საქართველოს რესპუბლიკის მფარველობის ქვეშ, ვიდრე ყუბანის რესპუბლიკის საზღვრებში შესვლა: „იმყოფება რა საქართველოს რესპუბლიკის კანონების მფარველობის ქვეშ, მცხოვრებთა მშრომელი ნაწილი მოიპოვებს საშუალებას თავისუფლად განაგრძოს თავისი სურვილების განხორციელება ადგილობრივ სასოფლო სამეურნეო ცხოვრების გასაუმჯობესებლათ, საშუალებას მოიპოვებს საქართველოს რესპუბლიკის კანონების თანახმად, შემოიღოს დემოკრატიული ერობა და სამართლიანად დაუნაწილოს მშრომელ ხალხს მიწა"... აი, როგორი რეზოლუცია გამოიტანეს სოჭის ოლქის მცხოვრებთა წარმომადგენლებმა.

ჩვენს დემოკრატიას გამოეხმაურა აგრეთვე ახალქალაქის და ახალციხის მუსულმანები, რომლებიც ჯერ კიდევ ნახევარ წლის წინად ბეგების მიერ გაბრიყვებულნი, ოსმალთა მხარეზე გადავიდნენ და ჩვენ კი გვიღალატეს. დღეს ისინი მზათ არიან მწარეთ შეინანონ თავისი შეცდომა და ჩვენი მთავრობის წარმომადგენელს უგზავნიან დეპუტაციას, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

„ჩვენ გავიგეთ, რომ ახალციხეში შემოვიდა მუშების და გლეხების მთავრობა, რომელმაც მთელს საქართველოში ჩამოართვა მიწები მებატონეთ და გადასცა ჩვენსავით უმიწაწყლო გლეხკაცობას. მუშების და გლეხების მთავრობამ უნდა ჩვენც დაგვიცვას, მოგვცეს მიწები. ამიერიდან ნუ იქნება ბეგების ბატონობა. ჩვენის მხრით გვერდში ამოვუდგებით გლეხობას და მუშებს და სისხლით დავიცავთ მოპოვებულ თავისუფლებას".

ომის დაწყების შემდეგ ეროვნებათა უმცირესობათ იგრძნეს, რომ საფრთხე, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას მოელის, მათი საფრთხეც არის. მრავალ კუთხიდან მოდის ცნობა, რომ ყველა ერთა თანაგრძნობა ამ ომში საქართველოს მხარეზეა.

იმავ ჯავახეთიდან მოსული ამბავი აგვიწერს იქ მცხოვრებ რუს-დუხობორების სულიერ განწყობილებას:

„დიდი სიხარულით შეხვდა ჩვენი ჯარების ჯავახეთში შესვლას განსაკუთრებით დუხობორები, რომელთა რიცხვი ათი ათასზე მეტია. ესენი ყოველ მხრივ ეხმარებიან ჩვენს ჯარებს და ხელს უწყობენ ამ ცივს ზამთარში საზღვრის სადარაჯოებზე, სადაც აგერ ერთი კვირაა თავს გვესხმის ალექსანდროპოლის გზით მოსული სომხის ჯარი". დუხობორებს განუცხადებიათ მთავრობის წარმომადგენლებისათვის, რომ „თუ აქ სომხის ჯარი შემოვიდა, დუხობორები აქაურობას დასტოვებენ და თფილისში გადმოიხვეწებიან".

ამნაირივე გუნებაზე არიან ჯავახეთის მცხოვრები მაჰმადიანებიც, „ქართველ მაჰმადიანთა ჩვენდამი განწყობილება საუცხოოა", იწერება ამხ. ლ. რუხაძე. ჯავახეთის მაჰმადიანების სულიერი განწყობილება არტაანის ოლქშიაც კი გადასულა, იქაც დაბადებულა საქართველოსადმი ლტოლვილება მცხოვრებთა დემოკრატიულ ნაწილებისა.

ჩვენი ომის მეგლეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის მხარეზე იქნება ბორჩალოს მაზრის მუსულმანობა. და ის რეზოლუცია, რომელიც მათ გამოიტანეს, შეიცავს შემდეგ სიტყვებს:

„ჩვენ მზათა ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ ჩვენი ტერიტორია და ჩვენი თავისუფლება ყველასაგან, ვინც კი მოინდომებს იარაღით დაგვიმორჩილოს ჩვენ". „მთელი პასუხისმგებლობა იმ შედეგებისთვის, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ამ ომს, ედება მხოლოდ და მარტო ჩვენს მტრებს".

ბერძნების სულიერი განწყობილება გამოიხატა პარლამენტის ტრიბუნიდან მათმა დეპუტატმა მახაილიდისმა, რომელმაც გამოუცხადა პარლამენტს, საქართველოში მცხოვრები ბერძნები თავიდანვე ერთგული მეგობრები ყოფილან ქართველებისა, დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველო თავის სამშობლოთ მიაჩნიათ და მზათ არიან დაიცვან იგი ისე, როგორც სამშობლო.

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია ის, რომ ეროვნულ უმცირესობათა ამ მწყობრ ხორის არ უღალატა საქართველოში მცხოვრებმა სომხობამაც. ძირითადი სომეხი მცხოვრებნი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩასახლებულნი, რასაკვირველია, უნდა შეშფოთებულიყვნენ იმ ომით, რომელიც „დაშნაკცაკანებმა" თავს მოახვიეს ორივე ქვეყნის დემოკრატიას. ზოგიერთ მხრიდან ამბავი მოდის, რომ სომეხი მცხოვრებნი ძალიან გაბრაზებულნი არიან იმ ავანტიურისტებზე, რომლებმაც ომის დაწყებით შეურყიეს მათ მოსვენებული ცხოვრება და კეთილი მეზობლობა ქართველებთან.

იმავ ახალქალაქის მაზრის სომხობა აი რა აზრის ყოფილა „დაშნაკელებზე".

„დაშნაკელებმა აქ მხეცობა ჩაიდინეს და სამაგიეროდ დაისაჯა ხალხი, რომლის 60 პროცენტი სრულიად ამოწყდაო. მთელი მცხოვრებლები აცხადებენ, თუ ჯავახეთში ხელმეორეთ შემოდგეს ფეხი „ზინვორებმა", ჩვენ კვლავ გადვიხვეწებით თფილისის მიდამოებშიო".

თელავის სომხობაც გაბოროტებით შეხვდარია „დაშნაკელების" ავანტიურას, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მოსვლია რეზოლუცია, რომელიც თელაველ სომეხთა მრავალ-რიცხოვან კრებას გამოუტანია. რეზოლუციაში სომხები პროტესტს აცხადებენ სომხეთში მცხოვრებ ავანტიურისტთა მოქმედებაზე, რომლის შედეგია ორ მოძმე ერს შორის სისხლის ღვრა". თელავის სომხობა „ჰპირდება მთავრობას ყოველგვარ დახმარებას დემოკრატიულ რესპუბლიკის დაცვაში".

ამნაირ სულიერ განწყობილებას გვიხატავენ ის ცნობები, რომლებიც ამ მოკლე ხანში მოვიდა საქართველოს საზღვრებში და მის მეზობლათ მცხოვრებ წვრილ ერების შესახებ. როდესაც ეცნობი მოსულ რეზოლიუციებს, სრულიად აშკარა ხდება, რით მოუპოვებია ჩვენს რესპუბლიკას ის თანაგრძნობა, რომელსაც იჩენენ მისდამი წვრილი ერები. წვრილი ერების დემოკრატიის თანაგრძნობა აიხსნება უმეტეს ყოვლისა მიწის საკითხის ჯეროვანათ გადაწყვეტით. გლეხობას ყველგან უნდა, რომ მიწის საკითხი ისე მოეგვარდეს, როგორც საქართველოს რესპუბლიკამ მოაგვარა. მიწები ჩვენში გადადის მემამულეთა ხელიდან გლეხკაცის ხელში და ამ საქმეში დაცულია სრული ნაციონალური თანასწორობა. საქართველოს რესპუბლიკა ყველა გლეხებს ურიგებს მიწებს განურჩევლად ეროვნებისა. და ამ გარემოებას არ შეიძლება თავისი ნაყოფი არ გამოეღო.

# პ რ ე ს ა

„გრუზიის" 92 №-ში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით „ნუ ამცირებთ მოწინააღმდეგის ძალებს". მოგვყავს ერთი ადგილი:

„ძველ ზღაპრად ჩაითვლება ეხლა გავრცელებული აზრი სომხების მხდალობის შესახებ. სომეხი ჯარისკაცები ომობენ გაბედულად და ამტანიც არიან, ბრძოლის ინიციატივა ჯერ მათ უპყრიათ ხელში და მათი უფროსებიც თავის მოწოდების სიმაღლეზე სდგანან. მტრის ძალა, რასაკვირველია, არ უნდა გავადიდოთ, მაგრამ მისი დამცირება კი პირდაპირ დანაშაულობაა. პირველი გამარჯვება მუდამ მის მხარეზეა, ვინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს

**წითელ ბილეთიანების მობილიზაცია გამოცხადდა ჯარში იწვევენ 1892, 1893, 1894 და 1895 წლებში დაბადებულთ მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია 24 დეკემბერი.**

---

**გერმანიის ელჩს ისპანიის მთავრობამ პასპორტები დაუბრუნა.**

---

**მოსალოდნელია ბერლინის დაკავება მოკავშირეთა ჯარების მიერ.**

---

უკეთესად და წინდაწინ მოემზადება შეტევისათვის. უკვე ორი კვირა გავიდა, რაც სომხებმა ფაქტიურად ომი გამოგვიცხადეს, რასაც ჩვენ არ მოველოდით. და თუ ამ ხანში მათ ვერ მოახერხეს ტფილისამდე მოსულიყვნენ, მათი საქმე უკვე წაგებულია. ჩვენი სახელოვანი რეგულიარული ჯარის და სახალხო გვარდიელების განსაკუთრებულ სიყოჩაღეს უნდა მადლობა ვუთხრათ ის, რომ მათ უმნიშვნელო ძალებით უკვე დაამარცხეს მტრის მოწინავე რაზმები, რომლებიც ტფილისზე მოდიოდნენ".

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ზემოთ მოყვანილ აზრს. საჭიროა ჩვენმა საზოგადოებრიობამ არზრუმის შეიგნოს, რომ საქმე გვაქვს ისეთ მოწინააღმდეგესთან, რომელიც მთელი თავის ერის სიცოცხლეს, არსებობას, კეთილდღეობას არ დაზოგავს, ოღონდ კი ბურჟუაზიის საქმე გააკეთოს და საქართველოს დემოკრატია დაამხოს.

მხნეობა, მხნეობა, მხნეობა და მხნეობა— აი ერთად-ერთი თავდები ჩვენი გამარჯვებისა.

* * *

„კლდე" პურიშკევიჩის ტონის და შინაარსის გაზეთია. მას უყვარს მაგარ-მაგარი არა ლიტერატურული სიტყვებით შეამკობა თავის ფურცლების.

ამის მაგალითების მოყვანა ყოველ ნომრიდან შეიძლებოდა, მაგრამ არ გვინდა მკითხველის სმენის შეურაცხყოფა და ვერც „კლდეში" ვურჩევთ მათ წაკითხვას.

მაგრამ, როცა გაზეთი ცილისწამებასაც იწყებს და ჩვენ თავდადებულ დემოკრატიას უსაყვედურებს არ შეგვიძლია მას თავისი ადგილი არ მივუჩინოთ.

პოლონეთში წარწერები სალაპარაკო ენა და სხვ. ვარშავაში პოლონურია, თფილისში კი არაო, სწერს გაზეთი და ასე განაგრძობს:

„ჩვენ კი ჩვენს დედა ქალაქში რუსეთის ხალხთა ჩექმის ბატონობის დროს კი არა, დღესაც დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფო საქართველოშიაც ვერ ვხედავთ ამას და როდესაც ამაზე ლაპარაკს დავიწყებთ, გაბატონებული ჩვენი სოციალდემოკრატიული პარტია გვეუბნებოდა: „ნაციონალისტებს ცხვირში სული წაუვიდათო". ამის ამბობენ და არ იციან, თუ როგორ აგვიანებენ და ატერორებენ თფილისის ქართველ მცხოვრებ ხალხში გროვნულ მეს შეგნებას და ნუღარაც გვიკვირს ამის შემდეგ, რომ იმ დროს, როდესაც პროვინციებიდან, სადაც ნაკლებათაა მათი ფსიქიკა „ინტერნაციონალი" შერყვნილი, მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ხალხი აღტყდა და ზღვასავით აწვება მაზრების სამხედრო უფროსებს, აქ კი პირველ დღეს მხოლოდ 13 კაცი გამოცხადდა კომისიაში".

ამას დაწერს არც კი რცხვენია, რომ თფილისს აყენებს ასეთ შეურაცხყოფას, იმ თფილისს, რომლის გვარდიელები ც. ი. შეგნებული და შეიარაღებული დემოკრატია ყოველ მობილიზაციის გამოცხადებამდე გაეშურება ბრძოლის ველზე. და რომ მას არ შეეჩერებინა მუხანათი მტერი ეკატერინენფელდთან, დარწმუნებული ვართ, დღეს ყოველივე მობილიზაცია უნაყოფო და უმიზნო იქნებოდა: ნუთუ სიბრაზემ და ღვარძლიანობამ ასე დააბრმავა ეს ხალხი? მაგრამ თავი შეგვიძლია იმით ვინუგეშოთ, რომ თითო მახინჯი ყოველ ოჯახში მოიპოვება.

ჰყავს ასეთი მახინჯი საქართველოს რესპუბლიკასაც. მაგრამ ამ მახინჯთ, სრული დარწმუნებული ვართ, მომავალში და დამჯერე არავინ გაუჩნდება...

# ბრძოლის ველი

(სამხედრო შტაბის ცნობა).

**24 დეკემბერი.**

სადახლოსთან ორი დღის ძლიერი ბრძოლა დამთავრდა ჩვენი ჯარის გადაჯგუფებით, რომლებმაც ახალი პოზიციები დაიჭირა.

მტერი ძლიერი ძალებით იერიშებს აწარმოებდა. გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენ ზურგში მდებარე სოფლების მცხოვრებლებმა, რომლებმაც გადაჭრეს რკინის გზა.

მტრათ შეხვედრუმულმა ჩვენმა ჯარმა, მეტად მძიმე პირობებში, მამაცურად და გმირულად შეხძლო რკალის გარღვევა და მტრის არაერთი დამარცხება. არტილერიამ დახარჯა ყველა ტყვია და მამაცურად გაარღვია მტრის რკალი.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

**ინგლისური პრესის ცნობები**

გერმანული გაზეთი „ფორვერტსი" იუწყება, რომ ადვილი შესაძლებელია ბერლინი შეთანხმების სახელმწიფოების ჯარმა დაიჭიროს.

ვილსონმა და იტალიის მეფემ პარიზში ერთმანეთი ინახულეს.

ისპანიის მინისტრ-პრეზიდენტი ჩავიდა პარიზში, რათა ვილსონთან ერთად განიხილოს ის საკითხები, რომელიც ისპანიის ინტერესებს ეხება და აგრეთვე საკითხი საზავო კონფერენციაში ისპანიის მონაწილეობის შესახებ. ამ ვიზიტს ისპანიაში დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგან ეს ნიშნავს პირინეის ნახევარ კუნძულზე გერმანიის იმპერიალიზმის საბოლოო დამარცხებას.

ჰაეროპლანების კონსტრუქტორები, ძმანი ფარმანნი იუწყებიან, რომ მათ განზრახული აქვთ პარიზსა და ლონდონს შუა საჰაერო კერძო მიმოსვლა მოაწყონ. ამ მიზნით გამოყენებული იქნება ჰაეროპლანები, რომლებშიაც ოც-ოცი მგზავრი ჩაეტევა.

მადრიდიდან „ტაიმს" ატყობინებენ: ისპანიის მთავრობამ აუწყა გერმანიის ელჩს, რომ ის უკვე აღარ არის „პერსონა გრატა" და მას თავისი შტაბით შეუძლია მიიღოს პასპორტები.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

იტალიის მეფე პარიზიდან ვერდენში წავიდა იქ მყოფ იტალიელ ჯარების სანახავად.

მდგომარეობა გერმანიაში უცვლელია, მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრათ სოლფის მაგიერ ბროკდორფ რანცაუ დაინიშნა.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი. სმოლენსკი.** 23 დეკ. ყოველ დღე მიემგზავრება 15,000 სამხედრო ტყვე, რომელნიც უზრუნველყოფილი არიან ტანისამოსით. მათ თან მიაქვთ რევოლიუციონური ლიტერატურა. **ნაუენი.** 22 დეკ. ინგლისის გაზეთ „დეილი ნიუსის" კორესპონდენტთან საუბრის დროს ებერტმა სთქვა, რომ გერმანიას საფრთხეში აგდებს მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობა, რადგან ჯარისკაცი უფრო გადაიტანს ყველა გაჭირვებას ფრონტზე, ვიდრე შინ. და თუ ხალხი სურსათის კრიზისით უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ ბოლშევიზმი გაძლიერდება და გამეფდება. **ციურიხი.** 22 დეკ. სოფიის ქუჩებზე შეტაკება მოხდა. უკანასკნელი ცნობებით ბულგარეთში ბოლშევიზმი თანდათან ძლიერდება. **კოპენჰაგენი.** 23 დეკ. საფრანგეთში ფრანგების და რუს კაპიტალისტების სინდიკატი დაარსდა. მასში შედის ყველა თვალსაჩინო ხე ტყის რუსი მრეწველი.

# ახალი ამბები

**წითელ ბილეთიანების გაწვევა.** სამხედრო მინისტრის ბრძანებით ჯარში გაიწვევენ წითელ-ბილეთიანებს, რომელნიც დაბადებულნი არიან 1892, 93, 94 და 95 წლებში. მობილიზაციის პირველ დღეთ 24 დეკემბერია დანიშნული. მიღება ყოველდღე დილის 8 ს.—16 საათამდე, სამხედრო უფროსის ბინაზე, ვოგზლის ქ. თამამშევის სახლი.

◆ **რუსი ტყვეების დაბრუნება ავსტრო-უნგრეთიდან.** რუსთა ეროვნულ საბჭოში ტყვეები მოდიან ავსტრია-უნგრეთიდან. 23 დეკემბრამდე მოვიდა 360 ტყვე. რადგანაც საბჭოს მათ გასაგზავნათ ფული გამოელია, მიმართა საქართველოს მთავრობას დახმარებისათვის.

◆ **პური მცხოვრებთათვის.** ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება ატყობინებს ყველა თავის ხელქვეით დაწესებულებათ: საუბნო და სახლის სასურსათო კომიტეტებს და კოოპერატიულ საცხობებს, რომ ვინაიდან წისქვილებზე ფრონტისათვის საჭირო ხორბალი იფქვება, მცხოვრებთათვის პური 28 დეკემბერს არ გამოცხვება.

◆ **კავშირის დასი.** მსახიობთა კავშირის საბჭომ დაადგინა, რომ ერთი წარმოდგენის სრული წმინდა შემოსავალი უძღვნას ჩვენ მეომართა საჭიროებას და შეგროვილი თანხა გადასცეს სამხედრო სამინისტროს. დადგენილ იქმნა, რომ ამ დღისათვის ადგილების ფასი მომატებული იქნას და წარმოდგენილ იქნეს ძველი, პატრიოტული პიესა ავქ. ცაგარელისა „ქართველი დედა". წარმოდგენის დღეთ დანიშნულია პარასკევი, 27 დეკემბერი სახელმწიფო თეატრში. ბილეთები უკვე იყიდება.

◆ **საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი** შაბათს, 28 დეკემბერს, აწყობს მეომართა დღეს. ქალაქის ყოველ უბანში ჩამოივლის საგანგებოთ მოწყობილი ავტომობილები. შეაგროვებენ ყოველგვარ შემოწირულებას —ფულს, საპონს, წუმწუმას, პაპიროსს, პაპიროსის ქაღალდს, თამბაქოს, ძაფს, სხვადასხვა სასმელს, ხმელ ხილს და სხვ.

◆ **გაზეთები ფრონტზე.** სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების თაოსნობით თფილისის ქუჩებში დადგმულ ყუთებში ჩაუშვით ახალი ან წაკითხული ჟურნალ-გაზეთები, რომელიც ყოველ დღე ეგზავნება ჩვენს დამცველთ ფრონტზე.

◆ **მ 4 რაიონის კოლექტივი** ს. ს.-დ მ. ბ. ამავე რაიონის პარტიის წევრთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ყველა ისინი, ვისაც თავის განმავლობაში არ შემოუტანიათ საწევრო გადასახადი, ანუ დამატებითი 2 მან. 40 კაპ., თანახმად პარტიული წესდებისა (იხ. პუნქ. 3 და კოლექტივის 22 დეკემბრის სხდომის დადგენილებისა, თუკიღა ამ იანვრამდე არ შემოიტანენ ხსენებ ფულს, ათი იანვრის შემდეგ გამორიცხული იქნებიან პარტიიდან და მათი სახელი და გვარი გამორიცხული იქნება პარტიულ ორგანოებში, ხოლო პარტიული მანდატები გაუქმებულათ ჩაითვლება.

◆ **ლექცია.** 25 დეკემბერს, საღამოს 6 ს. სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში, დანიშნულია ლექცია: 1) ლ. დეკანოზიშვილის ასტრონომია, 2) მ. არსენიძე, მოხსენება მომენტზე.

◆ **ძარცვა.** 23 დეკემბერს, საღ. 9 საათზე მოსკოვის ქუჩაზე გერმანიის დელეგაციის წარმომადგენელს ვ მიულლერს 4 შეიარაღებული პირი დახვდა და ათი ათასი მანეთი წაართვა.

◆ **ქურდობა.** 23 დეკემბერს საღამოს 6 საათზე გ. გელაშვილის ფეხსაცმელების სახელოსნოდან (ვიდიმთავრის ქუჩა № 74) ბოროტ-მოქმედებმა 10,000 მან. სხვადასხვა საქონ. და 1660 მან. ფულად გაიტაცეს.

**კრებები.**

**ოთხშაბათს,** 25 დეკემბერს, საღ. 7 საათ., მეოთხე რაიონული კოლექტივის ახალ ბინაზე (ოლღის ქ. № 29) დანიშნულია ხალხის განათლებისა და მოწყალეობის საზოგადოების კომიტეტის წევრთა არაჩვეულებრივი სხდომა. მეტად მნიშვნელოვან საკითხების გამო ვსთხოვთ ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ჩოხატაური.** ნოე გ—ძე სიხარულიძემ, დ. ჩოხატაურში გიმნაზიის შენობის და მიწის სასყიდლათ ხალხს დახმარება გაუწია 5000 მანეთით. გიმნაზიაში სწავლა დაიწყება პირველ იანვრიდან.

# მოწოდება

**ექიმის თანაშემწეების მიმართ.**

ჩვენი სამშობლო განსაცდელშია. მას ომი მოახვიეს თავზე და იგი იძულებულია შესაფერი პასუხი გასცეს ვერაგ მტერს. ჩვენი საყვარელი მხედრობა ბრძოლის ველზე სისხლსა ღვრის სამშობლოს დასაცავად. მამაცი ჩვენი ჯარი ომის და სუსხიანი ზამთრის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის სანიტარიის მხრით ძას ხანგრძლივით ეჭირება ტიფი, შენდევა, მკურნალობა. სასანიტარო პერსონალის და განსაკუთრებით ექიმის თანაშემწეების (ფერშლების) ნაკლებულება საგრძნობელია.

ჩვენ სამშობლოს დღეს დასჭირდა ჩვენი თავი და ჩვენი ვალია დავეხმაროთ ჩვენი ცოდნით და საქმით. ამისათვის ექიმის თანაშემწეთა კავშირი საქართველოს რესპუბლიკისა მოუწოდებს ამხანაგ ფერშლებს და სანიტრებს დაუყონებლივ ჩაეწერონ თავის ნებით სამხედრო სამსახურში. თავის ნებით ჩაწერილ ექიმის თანაშემწეთა ნივთიერი მდგომარეობა კარგია. მობილიზაციის წესით წაყვანილი ამხანაგების მდგომარეობის შესახებ სიჩქაროდ ელოდებულია შუამდგომლობა.

ჩაწერა შეიძლება სამხედრო სასანიტარო განყოფილებაში და ექიმის თანაშემწეთა კავშირის თავმჯდომარესთან (კუთხე კიროჩნის და ელისაბედის, კახეთის გზის სამმართველოში) კოლელაშვილთან.

მოუწოდებთ ქუთაისის და სხვა ქალაქების კავშირებს ხელი შეუწყონ სამხედრო უწყებას პერსონალის შოვნაში. მაშ ამხანაგებო. მოგვეშველით!

საქართველოს ექიმის თანაშემწეთა საზოგადოების თავმჯდომარე ალ. კოლელაშვილი.

ვთხოვ ყველა ქართულ გაზეთებს და „ბორბალს" გადაბეჭდონ.

# ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე

23 დეკემბერი.

**მეხუთე დღე.**

მოწმეების დაკითხვა გრძელდება. თავიდანვე პროცესს უფერულობა ეტყობა. მოწმეები ახალს არაფერს ამბობენ. სენსაციურ ჩვენებას ძლევა ბრალდებულ შმაგაილოვის მოწმე გოტოვცევი. ის ამტკიცებს, რომ ინგლის ამერიკის მისია დაინტერესებულია ამ საქმით და აუცილებლათ განთავისუფლებულ უნდა იქნას შმაგაილოვიო. ზელინსკი, შმაგაილოვის დამცველი, ჩაებღაუჭა ამ მოწმის ჩვენებას და მოითხოვა საქმის საერთაშორისო უფლებრივ სფეროში გადატანა. აქ უკვე პროცესს სიცოცხლე დაეტყო. ადვოკატები სამოქალაქო მოსარჩელეები. სასამართლომ ზელინსკის წინადადება უარყო.

დაკითხვის შემდეგ მოწმეთ ლასხიშვილს და მზარეულიშვილს, ორივე ტყის მცველები, ისინი ასწერენ, თუ როგორ და რა პირობებში იქნენ ბრალდებულნი დაჭერილნი. მზარეულიშვილს ხელში უჭირავს ქუჩარიანცის ქუდი. ის აღნიშნავს, რომ ქუჩარიანცს სხვა საგნებთა შორის აღმოაჩნდა ჯიბეში ფიტილი და ბიზილალით.

დაკითხვის აგრეთვე შაქარაშვილს და ჯაფარიძეს, მათ მოკლე ცნობები მისცეს სასამართლოს ხიდის აფეთქების და ქუჩარიანცის შმაგაილოვის შეპყრობის შესახებ.

**თავმჯდომარე** ბრალდებულ შმაგაილოვს, თქვენ ინგლისის მისიასთან მსახურობდით თუ არა?

**ბრალდებული.** არა, სამსახურში არ ვყოფილვარ, ისე ვმუშაობდი.

**თავმჯდომარე.** გყავდათ თუ არა თქვენ აქ იდეური ამხანაგები?

**ბრალდებული.** მყავდა.

**თავმჯდომარე.** მათთან კავშირი გქონდა თუ არა?

**ბრალდებული.** საერთო საქმეში ჩვენ შორის იყო კავშირი.

**თავმჯდომარე.** თქვენი იდეური ჯგუფის ნაციონალური შემადგენლობა როგორი იყო?

**ბრალდებული.** სამი რუსი იყო და ერთი ლატიში.

**თავმჯდომარე.** თქვენ იცოდით თუ არა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მასთან გამოაცხადა თავისითავი ნეიტრალურ სახელმწიფოთ?

**ბრალდებული.** ვიცოდი. ნეიტრალობის შესახებ გაზეთებში ამოვიკითხე.

**თავმჯდომარე.** ღებულობდით თუ არა ცნობებს დასავლეთის ფრონტის მდგომარეობის შესახებ და იცოდით თუ არა დროებითი შერიგების გამოცხადება?

**ბრალდებული.** მე ყოველთვის მწამდა, რომ მოკავშირენი გაიმარჯვებდნენ, ხოლო საქმე დროზე იყო, რაც შეეხება ცნობებს, მე ცრუმაიერის ცნობებით ვიკვებებოდი, ეს ცნობები კი, რასაკვირველია, არ იყო ჭეშმარიტი.

**თავმჯდომარე.** თქვენ იცოდით თუ არა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა?

**ბრალდებული.** ვიცოდი.

**თავმჯდომარე.** უკრაინა ხომ ძლიერია ეკონომიურათ საქართველოზე, გერმანიას იქ უფრო მაგრათ ჰქონდა ფეხი მოკიდებული და თქვენ რათ აირჩიეთ საქართველო თქვენს სამოქმედო ასპარეზად, განა უფრო დიდ სარგებლობას არ მოიტანდით, რომ უკრაინიდან შეგეშალათ ხელი საქონლის გაზიდვაში?

**ბრალდებული.** საქმე არჩევანში რომ ყოფილიყო, მაშინ მე მოკავშირეთა ჯარში ჩავეწერებოდი. მე ეს დამავალეს და ავასრულე.

**თავმჯდომარე.** როდის გაიცანით თქვენ ჩალხუშიანი?

**ბრალდებული.** შარშან, 1917 წ.

**თავმჯდომარე.** თქვენ და თქვენს იდეურ ამხანაგებს გინდოდათ თუ არა საინტენდანტოები გაგენადგურებინა, რომ გერმანელებს აქედან დამზადებული საქონელი არ წაეღოთ.

**ბრალდებული.** ჩვენ გავანადგურებდით მხოლოდ იმას, რაც გერმანელებს წასაღებათ ჰქონდათ გამზადებული,

**თავმჯდომარე.** როცა თქვენ ძეგვის ხიდის აფეთქებას აწყობდით იცოდით თუ არა სანაინის ამბები და თუ იცოდით, როგორ უყურებდით მას?

**ბრალდებული.** ვიცოდი. მე მაგ ამბებს ვუყურებდი მეტად ზერელეთ. ეს იყო უბრალო საზღვრების შესახებ ჩვეულებრივი უთანხმოება. საერთოდ მე ჩემი სამშობლო მიყვარდა, ხოლო კავკასიაზე ძალიან ცოტას ვფიქრობდი, მისას არც კარგს ვეძებდი და არც გლახას.

**თავმჯდომარე.** თქვენ იცოდით საქართველოს რესპუბლიკის არსებობა, იცოდით აგრეთვე სომხეთის რესპუბლიკის არსებობა, როცა ხიდს აფეთქებდით და საქართველოს ორ ნაწილად ჰყოფდით, ასუსტებდით ნორჩ სახელმწიფოს ძალას, ფიქრობდით თუ არა, რომ ეს გარემოება საქართველოს დაასუსტებს, ხოლო სხვები მას ამის შემდეგ ხელს ადვილად წამოჰკრავდენ?

**ბრალდებული.** სამხედრო მოქმედება არ იყო. მე ვფიქრობდი მხოლოდ ორი კვირით შემეწყვიტა მოძრაობა. ხოლო საქართველოს დასუსტებაზე მე სრულებით არ ვფიქრობდი.

**თავმჯდომარე.** თქვენ რუსეთის აღდგენა გაინტერესებდათ, არა?

**ბრალდებული.** მე მაინტერესებდა არა აღდგენა რუსეთისა, არამედ აღორძინება. მე სრულებით არ ვიყავი განაპირა რუსეთის მდგომარეობით დაინტერესებული. იარსებებდენ თუ არა პოლონეთი, ფინლანდია, საქართველო და სხვ. ჩემთვის სულ ერთი იყო. მე მაინტერესებდა ცენტრალური რუსეთის ბედი.

**თავმჯდომარე.** თქვენ საუბრის დროს არ გიკითხავთ ჩალხუშიანისათვის, თუ როგორ უყურებს და ეპყრობა ის თავის არარატის რესპუბლიკას?

**ბრალდებული.** მე ვიცი, რომ ჩალხუშიანს თავისი სამშობლო უყვარდა და სომხეთის რესპუბლიკას კარგათ უყურებდა.

**თავმჯდომარე.** ვის მიმართეთ თქვენ დახმარებისთვის, როცა არც ერთი ამხანაგი თქვენი მაშინ აქ არ იყო?

**ბრალდებული.** მე მივმართე ჩალხუშიანს, როგორც ერთ პატიოსან ჩემს ნაცნობ აფიცერს.

**თავმჯდომარე.** ჩალხუშიანს ზედმეტი სახელი ჰქონდა თუ არა?

**ბრალდებული.** მას ქონდა [illegible] „[illegible]".

სამოქალაქო მოსარჩელე ქავთარაძე. [illegible]დით თუ არა აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა?

**ბრალდებული.** ვიცოდი.

**ქავთარაძე.** სთვლიდით თუ არა ამ აქტს სახელმწიფოებრივ აქტად?

**ბრალდებული.** საქართველო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უნდა ცნობილ იქნას.

**ქავთარაძე.** მატარებლის მოახლოვების დროს, რათ მიატოვეთ ხიდს ქვეშ მუშაობა?

**ბრალდებული.** არ მინდოდა მატარებლის გავლის დროს აფეთქება მომხდარიყო, რათა ადამიანები არ დახოცილიყვნენ.

ქავთარაძე. მოითხოვს ეს ჩვენება იქნეს შეტანილი ოქმში, რადგანაც გუშინ ამ კითხვაზე შმაგაილოვმა სხვა პასუხი მისცა. სასამართლომ შუამდგომლობა უარჰყო.

პოლკოვნიკი **გატოვცევი.** შმაგაილოვის მოწმეა. ახასიათებს შმაგაილოვს, როგორც ნიჭიერ სამხედრო ინჟინერს, დაუღალავ და უშიშარ კაცს და იდეით გატაცებულს. შემდეგ მოწმე აღნიშნავს, რომ მან ამ საქმის გამო მიმართა ამერიკის წარმომადგენელ კაპიტან ბუმანს, რომელმაც მას გადასცა, რომ შმაგაილოვმა ეს საქმე ინგლისის მისიასთან შეთანხმებით მოაწყო და განთავისუფლებულ უნდა იქნესო. აქ ჩამოვიდა—განაგრძობს მოწმე—ინგლისელი კაპიტანი ხოლსი, რომელმაც დეპეშა გაუგზავნა ინგლისის მისიას ეკატერინოდარში და გენერალ ტომსონს ბაქოში, რათა ამ საქმის შესახებ მიიღონ ზომებიო, ხოლსმა ინახულა აგრეთვე საქ. მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო რა შედეგი მოყვა არ ვიციო.

**ქავთარაძე.** ბუმანი არის თუ არა ამერიკის ოფიციალური წარმომადგენელი.

**გატოვცევი.** არ არის.

შმაგაილოვის დამცველი **ზელენსკი** ამტკიცებს გატოვცევის ჩვენების შემდეგ, რომ შმაგაილოვს შეუძლია ისარგებლოს ექსტერიტორიალური უფლებით, რადგანაც ეს საქმე არის საერთაშორისო უფლების სფეროში და ამიტომ ადგილობრივ სასამართლოს არა აქვს უფლება ის გაასამართლოსო.

**პოტებნია** სამოქალაქო მოსარჩელე ამბობს, რომ საქართველოს რკინის გზას მიაყენა ზარალი განსაზღვრულმა პიროვნებებმა. სასამართლოს შეუძლია მისი გასამართლება. ან ამ ბრალდებულებმა უნდა აუნაზღაურონ ეს ზარალი, ან და იმათ ვისი შთაგონებით ეს მოიმოქმედა, მაგრამ დღეს ჩვენ სხვა არავის არ ვსჯით გარდა შმაგაილოვ და მისი ამ საქმეში ამხანაგებისა, ამიტომ ისინი სასამართლომ უნდა გაასამართლოს.

**დემიდოვი.** (სამოქალაქო მოსარჩელე) ექსტერიტორიალური უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ის პირნი, რომელნიც მსახურობენ საელჩოში. ბრალდებული, როგორც ვიცით, საელჩოში არ მსახურებდა, ამიტომ არ შეუძლია ექსტერიტორიალური უფლებებით ისარგებლოს, თუ ვინმე ურევია ამ საქმეში ექსტერიტორიალური უფლებებით და ეს დამტკიცდება, მაშინ მთავრობას მიმართავს ეს სასამართლო და იმის საშვალებით დასჯილ იქნება დამნაშავე. ამიტომ სასამართლომ პროცესი უნდა განაგრძოს.

**ზელენსკი** კითხულობს საერთაშორისო უფლების ზოგიერთ პუნქტებს, აგრეთვე მიუთითებს დემიდოვს გერმანიის ცნობილ იურისტის ნაწერებზე და კანონებზე.

**დემიდოვი.** წამოყენებულ საკითხის გარჩევის დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ადგილობრივი კანონებით, პარლამენტის და მთავრობის დადგენილებებით, არ უნდა ვილაპარაკოთ სხვა სახელმწიფოებრივ კანონებზე და სხ. ეს იქნებოდა ადგილობრივი კანონებისადმი და მთავრობისადმი უპატივცემლობა და დანაშაული. არავის არა აქვს უფლება სთქვას, რომ საქართველოს მდგომარეობა არ იყო ნეიტრალური და სხვა. ამიტომ მე მგონია სასამართლო ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და საქმის გარჩევას განაგრძობს.

**პ. ქავთარაძე.** აქ გატოვცევმა გააკეთა სენსაციური განცხადება, რომელიც არაფრით არ არის დასაბუთებული. ზელენსკი დაეყრდნო ამ განცხადებას და უკიდურესობაში ჩავარდა. ასეთ განცხადებას წინათაც ქონდა ადგილი. ახლა პაიკის მაგივრად მხოლოდ ხოლსი იქნა მოხსენებული. შესცვალეს სახელები, ხოლო შინაარსი ერთი და იგივეა. მე მგონია, რომ სასამართლო უარჰყოფს ასეთ დაუსაბუთებელ ზელინსკის შუამდგომლობას.

**ბრალმდებელი.** დღე სასამართლომ დაასრულოს გამოძიება და შემდეგ შეუდგეს ამ საკითხის გარჩევას.

სასამართლო გადის სათათბიროდ, სხდომის განახლებისას თავმჯდომარე აცხადებს, რომ ვინაიდან სასამართლოს არ მოუსმენია საბუთები იმის შესახებ, რომ ხიდის აფეთქებაში ინგლისის ოფიციალური წარმომადგენლები ღებულობდენ მონაწილეობას, ხოლო ის პირნი, რომლებიც აფეთქება მოახდინეს არა თუ მსახურებდენ ინგლისის მისიაში, არამედ—

სულ სხვა სახელმწიფოს მოქალაქენი არიან, სასამართლომ დაადგინა საქმის პროცესი გაგრძელებულ იქნას.

შემდეგ ჩვენებას აძლევენ პოლკოვნიკები ბოლბაშევსკი და გალამინცევი. ისინი არსებითს არაფერს არ ამბობენ, გარდა იმისა, რომ ახასიათებენ შმაგაილოვს, როგორც ნიჭიერ ტეხნიკს.

გალამინცევი. ბრალმდებლის კითხვაზე მატერიალურად უზრუნველყოფილ იყო თუ არა შმაგაილოვიო, ამბობს, რომ ისე იყო, როგორც ჩვენ ყველანიო, განსაკუთრებით მას ქონება არ ჰქონდაო.

შმაგაილოვმა მიჰმართა, სამსახურისათვის პოლკოვნიკ სპაიკას, მაგრამ მან განუცხადა, რომ მე სამსახურში მიღების უფლება არა მაქვსო. დამსწრე წინააღმდეგობას ხედავს შმაგაილოვის მტკიცების, რომ პოლკ. სპაიკას მონდობილობით ის აკეთებდა ინგლისის საქმეებს, ხოლო თვითონ სპაიკას უფლება არ ქონია ოფიცერი მიეღო ინგლისის ჯარში.

**ტერ ხიმონიანი** (კუჩარიანცის მოწმე) ამბობს, რომ რეულეტკა კუჩარიანცს მან მისცა ხიდის აფეთქებამდე ერთი თვის წინეთ. სამსახური ისეთი ქონდა კუჩარიანცს, რომ ესაჭიროებოდა ლუქი, სანთელი და სპიჩკა.

**ყურულაშვილი** (კუჩარიანცის მოწმე. ქართულს იმერულ კილოთი ლაპარაკობს. ყველას ქართველი ეგონა, მხოლოდ დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ სომეხი ყოფილა, ხელობით მეუნაგრე). მოწმე ამბობს, რომ ერევნის მოედანზე კუჩარიანცმა მას გამოართვა ხიდის აფეთქებამდე ერთი გირვანქა ხიზილალა და უთხრა: თან წამომყევი მცხეთაში, ან დილომში, შენ გზა გეცოდინებაო, ცხვარი მინდა ვიყიდოვო.

დაკითხულ იქნენ აგრეთვე მოწმე გიგილაშვილი და კაცაბელი. სხდომა შეწყდა 5 ნახევარ საათზე.

(გაგრძელება იქნება)

## ჩვენი ჯარისთვის

თფ. ქართველ ქალთა საზოგადოების კრება შესდგა 22 დეკემბერს. კრებამ დაადგინა: მოხდეს კონცენტრაცია არსებულ ქალთა საზოგადოების და სხვადასხვა ჯგუფების, აირჩეს მთავარი კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს მთელს მოქმედებას. აქვე არჩეულ იქნენ წარმომადგენელნი, რომელთაც დავალეთ აცნობონ კრების დადგენილება დამხმარე კომიტეტს. ამავე დღეს საზოგადოების თავმჯდომარეს გადასცეს: ქ-მა ქიონია ბელუქიძისამ 1000 მან. ჩეკი; ელ. ანდრონიკაშვილისამ 30 მან. ვერცხლის ფული; უცნობმა 1 მ. 80 კ. ვერცხლის ფული; სოფიო ქემხიაშვილმა 7 მ.; ეკ. მაჭავარიანმა (გამგეობის წევრმა) 100 მან.; ქეთ. ლეჟავამ 5 მ., ივლიტა ხატისკაცმა 10 მ., იულია იაშვილმა 4 მ. 5 კ. ვერცხლის ფული. საერთო ჯამი 1,157 მან. 80 კ. ამასთანავე შესდგა სამუშაო დარგების სიები, რომელშიც მრავლად ეწერებიან მსურველი ქალები „ძმურ ნუგეშში" მთრიგესთან ყოველ დღე.

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის ბიურომ დაადგინა:

1) დაარსდეს ცალკე ფონდი ომის საჭიროებისთვის (საავადმყოფოების მოწყობა, დაჭრილ მოკლულთა ოჯახების დახმარება და სხ.).

2) ამ ფონდის გასაძლიერებლად მიეცეს წინადადება რესპუბლიკის საზღვრებში არსებულ სხვადასხვა ტიპის საკრედიტო დაწესებულებას თავიანთ საშუალებიდან გაიღონ შეწირულება დაუყონებლივ საბჭოსა და გამგეობის დადგენილებით, ისე, რომ არ მოუცადონ ამისთვის საზოგადო კრების მოწვევას.

3) მიეცეს წინადადება საკრედიტო დაწესებულებათა თანამშრომლებს, რომ გამართონ თავიანთ შორის ხელის მოწერა და აგრეთვე მოაწყონ ხელის მოწერა წევრთა, აქციონერთა და კლიენტთა შორის.

4) ადგილობრივმა და პროვინციელ დაწესებულებებმა და კერძო პირებმა შეკრებილი შეწირულებანი უნდა წარმოადგინონ ქ. თფილისში ამიერ კავკასიის ბანკში და ან სასოფლო სამეურნეო ბანკში, სადაც ომის საჭიროების ფონდისათვის გახსნილია სახელდობრივი ანგარიშები.

5) შემომწირველთა ვინაობა გაზეთებში გამოცხადდეს.

6) შემოწირულ ფულისა და ნივთების ანგარიში წარმოება ევალება ზემოაღნიშნულ დაწესებულებათ და ეს ანგარიშები გაზეთებში უნდა იბეჭდებოდეს;

7) მოწვეულ იქნენ ქ. თფილისში 29 დეკემბერს, დილის 11 საათზე, თფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკის ბინაზე, კომერციულ ბანკების, სააქციონერო საზოგადოების, საურთიერთო ნდობის საზოგადოებების, შემნახველ გამსესხებელ და წვრილი კრედიტის ამხანაგობების, სავაჭრო სახლების, სავაჭრო ამხანაგობების და ვაჭარ-მრეწველთა კავშირის წარმომადგენელნი; ამ კრების საგანია: ა) საკრედიტო და სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა მონაწილეობის მიღება 50.000.000 მან. ხაზინის ვალდებულებათა რეალიზაციის საქმეში და ბ) მიმდინარე საკითხები.

გთხოვთ სასწრაფოთ შეასრულოთ ზემოთ მოყვანილი დადგენილებანი და გამოგზავნოთ თქვენი **წარმომადგენელნი 29 ქრისტეშობისთვის სხდომაზე.**

**შენიშვნა:** შესაძლებელია ზემოაღნიშნულ დაწესებულებებმა ამასთანავე ერთად ფოსტით გადაგზავნილი ბარათები თავის დროზე ვერ მიიღონ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მათი წარმომადგენლების დასწრება 29 დეკემბრის სხდომაზე სავალდებულოა.

ქართულ საკრედ. დაწესებულებათა ყრილობის ბიუროს თავმჯდ. **პართენ გოთუა.**

## სალამი მთავრობას

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშები: 24 დეკემბერი. შორაპნიდან: „შორაპნის სამაზრო ერობის მიერ მოწვეული მიტინგი, რომელსაც დაესწრო ჟრამდენიმ ეთასი სოფლელი, გესალმებათ თქვენ და ფიცსა სდებს, რომ არავის მისცემს ნებას შეჰბილწოს საქართველოს თავისუფლება. გაუმარჯოს ჩვენს ჯარს და გვარდიას. მიტინგის თავმჯდომარე ჭანიშვილი.

ქიათურიდან: ჭიათურაში შემდგარი რესპუბლიკის ჯარის დამხმარე კომიტეტი თქვენის სახით სალამს უძღვნის საქართველოს მთავრობას და ჯარს და აღუთქვამს, რომ მზათ არის თავი დახდონ სამშობლოს თავისუფლებისათვის და გაიღოს ყოველი მსხვერპლი ჩვენი ქვეყნის დასაცველათ. თავმჯდომარე მოდებაძე.

ფოთიდან: საქართველოს სოც.-ფედერალისტთა ფოთის ორგანიზაციის საზოგადო კრებამ ქართველ სომეხთა ომის გამო გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: იზიარებს რა მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ორგანიზაცია მზათ არის დაეხმაროს მთავრობას ყოველგვარ საშუალებით. გაუმარჯოს საქართველოს მხედრობას, გაუმარჯოს საქართველოს მთავრობას, გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. კრების თავმჯდომარე ესაკია.

გორიდან: გორის მუშათა საბჭომ, რომელზედაც მოწვეული იყო თვითმართველობის, სამაზრო ერობის და სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენელნი, მოისმინა რა მომდინარე მომენტზე მოხსენება, დაადგინა: კრება მიესალმება საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და სწამს, რომ ის ააცდენს საქართველოს დემოკრატიას მოსალოდნელ საფრთხეს. კრება მთელის თავის ძალღონით დაეხმარება მას და ამ პასუხსაგებ მომენტში. კრების თავმჯდომარე კობერიძე.

## სანდრო მაისურაძის ხსოვნას

(მოგონებანი)

19 დეკემბერს, ბორჩალოს მაზრაში, ეკატერინოფელდის ფრონტზე სომხების ჯართან ხელჩართულ ბრძოლაში მოჰკლეს სანდრო მაისურაძე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს საშინელი ამბავი ლახვარივით დაესვება გულზე ყველა მის ამხანაგ-მეგობრებს. სანდრო მაისურაძე ერთი იმ მოწინავე მუშათაგანი იყო, რომლებმაც თავის კისერზე გადაიტანეს ჩვენში მთელი სიმძიმე ჯერ კიდევ ნიკოლოზ მეორის რეჟიმთან ბრძოლისა და შემდეგ დღიდან რევოლიუციონური გადატრიალებისა. ისინი მუდამ სათავეში უდგენ რევოლიუციონურ მოძრაობას და მუდამ თავგანწირულათ იბრძოდენ რევოლიუციის მტრების წინააღმდეგ.

1905 წ. რევოლიუციონურ მოძრაობის დროს სანდროს ჩვენ ვხედავთ თფილისში, მუშათა რევოლიუციონურ რაზმების სათავეში. შემდეგ, როდესაც რევოლიუცია დამარცხდა, მან იარაღი აისხა და ისევ ძველებურათ არალეგალური მუშაობა დაიწყო მუშებში,—პროპაგანდა, აგიტაცია და ორგანიზაცია—აი რით შესცვალა მან იარაღით ბრძოლა.

1908 წ. ივნისის პირველ რიცხვებში, ნადიროვკაში, ლ. ებრალიძის სახლში დატუსაღებულ იქნა „ოხრანის" აგენტების მიერ თფილისის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის კომიტეტი, რომელშიაც სხვათაშორის, მოვყევით მე და სანდროც, როგორც წევრები ამ კომიტეტისა. პირველი ღამე ჩვენი დატუსაღების შემდეგ ერთად გავატარეთ მე-9 საპოლიციო ნაწილში. მთელი ღამე არ დაგვეძინია. ვლაპარაკობდით იმაზე, თუ როგორი ჩვენება მიგვეცა ჟანდარმებისათვის. ზოგიერთ ამხანაგებს ღელვრემილობა ეტყობოდა და სანდროც იმათ მომღიმარის სახით ხშირათ ამხნევებდა, ანუგეშებდა. მეორე დღეს ჩვენ გაძლიერებულის „კონვოით" ჟანდარმების სამმართველოში გაგვისტუმრეს და იქიდან—მეტეხის ციხეში.

საშინელი პირობები იყო იმ დროს მეტეხის ციხეში. დღე არ გავიდოდა, რომ ყარაულ ჯარისკაცებს რომელიმე ტუსაღისათვის თოფი არ ესროლათ. ფანჯარასთან მიახლოვება ტუსაღის მხრივ და მით უმეტეს ფანჯარიდან გადმოხედვა ყოვლად შეუძლებელი იყო. მოდარაჯე ჯარისკაცები, როგორც კარგი მონადირეები, ისე უთვალთვალებდნენ ტუსაღებს.

მაშინდელმა მეტეხის ციხის უფროსმა, ცნობილმა რიმკევიჩმა ციხე ჯოჯოხეთად გადააქცია. დღე და ღამე არ ეძინა ამ ძველ რეჟიმის გმირს და სულ იმის ცდაში იყო, რაიმე ნაირათ შეევიწროვებინა პოლიტიკური ტყვეები, რამენაირათ ფეხქვეშ გაეთელა მათი ადამიანური უფლებები. პ რადგათ სანდროს მდგომარეობა მეტეხის ციხეში ჩვენი იქ მისვლის პირველ ხანებში პირდაპირ აუტანელი შეიქნა. იმ დროს პოლიცია გამწარებული ეძებდა ვიღაც ექსპროპრიატორ და შანტაჟისტ მაისურაძეს, რომელიც შეცდომით სანდროს მიამსგავსეს და ეს საკმარისი იყო, რომ ის ჩვენგან წაეყვანათ. ხელათ ბორკილები გაუყარეს სანდროს ფეხებში და ჩასვეს იმ კამერაში, სადაც ეგრედ წოდებული „სმერტნიკები" ყავდათ დამწყვდეული. ამგვარათ, მაშინდელი ციხის მძიმე პირობები სანდროსთვის ერთიორათ აუტანელი შეიქნა. ერთ კვირაზე მეტი დაჰყო სანდრომ „სმერტნიკებთან". შემდეგ როდესაც გამოირკვა, რომ ეს ის მაისურაძე არ იყო, რომელსაც ეძებდნენ, ბორკილები შეხსნეს და ისევ ჩვენთან გადმოიყვანეს.

ერთი წელი დავჰყავით ჩვენ მეტეხის ციხეში კატორღის მოლოდინში. ბევრი მწარე დღე ვნახეთ ამ ერთი წლის განმავლობაში, ბევრს ჩვენს ამხანაგს დაუღალა შუბლი მწარე ფიქრებმა მძიმე სასჯელის მოლოდინში. ამ დროს სანდრო უშიშრად და იმედიანათ უცქეროდა მომავალს. რეაქციის საშინელმა ვაკხანალიამ ვერ შედრიკა მისი გული, მის კეთილშობილურ სახეზე არავის მჭმუნვარება არ შეუმჩნევია.

თფილისის ჟანდარმებმა ჩვენი საქმე სასამართლომდე ვერ მიიტანეს და ბოლოს ორი წლით ვოლოგდის გუბერნიაში ადმინისტრატიულის წესით გადასახლება გადაგვიწყვიტეს. 1909 წ. ივნისის პირველ რიცხვებში ყველანი ერთად გაგვისტუმრეს ეტაპით ვოლოგდის გუბერნიისაკენ. აუტანელი იყო ის ერთი წელიწადი, რომელიც ჩვენ ციხეში გავატარეთ, მაგრამ ერთი ათად უარესი იყო მაშინდელი ეტაპით მოგზაურობა. მე სანდროს ვოლოგდის გუბერნიის სამაზრო ქალაქ ტოტმაში დავშორდი.

1913 წ, როდესაც დავბრუნდი ქალ. თფილისში, ხელახლად შევხვდი სანდროს. აქ სანდრო ძველებურათ ისევ მუშებში მუშაობდა. იმ ხანათ ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა მუშათა ლეგალურ ორგანიზაციებში—პროფესიონალურ კავშირებში, კოოპერატივებში და სხ. მუშაობას. თფილისში იმ დროს კოოპერატივები არსად არ არსებობდა და, ჩვენ განვიზრახეთ დაგვეარსებინა მუშათა კოოპერატივი. გავმართეთ მოლაპარაკება ტრამვაის მუშებთან და მალე შევადგინეთ ტრამვაის და რკინის გზის მოწინავე მუშებისაგან ჯგუფი, რომელიც ბეჯითად შეუდგა კოოპერატივის მოწყობას. ამ ჯგუფის ერთი მეთაურთაგანი იყო სანდრო მაისურაძე და მის დაუღალავ ენერგიას უნდა მიეწეროს ის, რომ სულ მოკლე ხანში დავამტკიცებინეთ წესდება, შევაგროვეთ საპაიო თანხა და გავხსენით პირველი მუშათა კოოპერატივი „ალორძინების" სახელწოდებით. სანდრო გამგეობის წევრათ იქნა არჩეული და მისმა დაუღალავმა ენერგიამ აქაც, ამისთვის ახალ ასპარეზზე, თავის ღრმა კვალი დაამჩნია.

1917 წ., როდესაც მოხდა რევოლიუციონური გადატრიალება, სანდრო ჩვეულებრივ ამ რევოლიუციის მეთაურთა წრეში მოექცა. ის რევოლიუციის პირველ ხანებში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს აწყობდა, საიდანაც არჩეულ იქნა ალმასრულებელ კომიტეტის წევრათ. აქ ის დაუღალავათ მუშაობდა. მას შემდეგ, როდესაც რევოლიუციის მტრებთან საჭირო შეიქნა იარაღით ბრძოლა, ის სხვა ამხანაგებთან ერთად იწყებს მუშათა წითელი გვარდიის შედგენას, სადაც მან ბოლოს საპატიო ადგილი დაიჭირა—გვარდიის მთავარ შტაბის თავმჯდომარის თანაშემწის თანამდებობა და ამ „პოსტზე" ის გმირულათ მოკვდა. სანდრო და მისი წითელი გვარდია რევოლიუციის მტრებს ებრძოდნენ მუდამ. ვინ იყო და ვინ არიან ეს რევოლიუციის მტრები? ძველი რეჟიმის მოტრფიალენი, ბოლშევიკები, ოსმალეთის ჯარი, რომელსაც უნდოდა საქართველოს შემოსევოდა და მისი თავისუფლება და ფიზიკური არსებობა მიწასთან გაესწორებინა და, დღეს კიდევ, ერევნის მთავრობა, რომელმაც ჩვენ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა, ჩვენი დემოკრატია საუკეთესო შვილებს სწირავს ამ ომს. რით შეუძლიან არარატის მთავრობას აგვინაზღაუროს ის, რაც ჩვენ სანდროს და სხვა საუკეთესო ამხანაგების სახით დავკარგეთ და ან კიდევ დავკარგავთ მომავალში?

არაფრათ...

ძვირფასო მეგობარო სანდრო! შენ სამუდამოთ მოშორდი შენ საყვარელ საქმეს—პროლეტარიატისა და დემოკრატიისთვის შეუდრეკელ ბრძოლას. შენ ვეღარ ნახავ შენ ძვირფას თავისუფლებისათვის მებრძოლ ქვეყანას. ვეღარ ვიხილავთ ჩვენ, შენი მეგობრები, შენს მუდამ მომღიმარე სახეს, ვერ გავიგონებთ შენს მანუგეშებელ და გამამხნევებელ სიტყვებს. არ მინდა ვიტირო, არ მინდა ცრემლები ვღვარო; გმირის საფლავს არ შეშვენის ცრემლები, მაგრამ რა ვუყო, რომ გრძნობა სჭარბობს გონებას და ცრემლი ჩემდაუნებურათ ჩამოსდის თვალთაგან.

ძვირფასო ამხანაგო სანდრო! შენ უკვდავი იქნები, როგორც ჩვენს გულში, ჩვენს ხსოვნაში, აგრეთვე იმ პროლეტარიატის, იმ დემოკრატიის ისტორიაში, რომელსაც შენ შესწირე მთელი შენი სიცოცხლე. **გ. ც.**

—

**ხაშური.** ხაშურის სახალხო გვარდიის შტაბი, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დიდი მებრძოლის რევოლიუციისათვის თავდადებული სწორუპოვარ ამხანაგის სანდრო მაისურაძის ტრაღიკულათ დაკარგვის გამო.

**ხაშურის შტაბი.**

—

**სამტრედია.** მწარეთ დავსტირით სომხებთან შეტაკების დროს გმირულათ დახოცილთ სანდრო მაისურაძეს და სხვა ამხანაგ გვარდიელებს. ეს მსხვერპლი გვიორკეცებს ენერგიას და მზათ ვართ თავგანწირვით ვეკვეთოთ მტერს.

გვარდიის შტაბის თავმჯდომარე **ნინუა.**

—

**გორი**, 20 დეკემბერს, შეერთებული კრება გორის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბისა, მაზრის კომისარიატისა, ერობისა და ქალაქის მმართველობათა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა გამოსთქვამს თავის ულრმეს მწუხარებას საუკეთესო ამხანაგის სანდრო მაისურაძის უდროვოთ დაკარგვის გამო. ჩვენი მუშაობას დროს სანდრომ დაიმსახურა საერთო პატივისცემა, ულრესი სიყვარული. სახალხო გვარდიის დანაკლისი მეტად საგრძნობია. პარტიამ დაჰკარგა ნათელი გამოხატულება იდეის თავდავ წყებამდე მსახურებისა. დაღუპულის მაგალითი გმირულად დაცემისა ბრძოლის ველზე მტერთენ ბრძოლაში, არა ერთსა და ორს აუნთებს გულს და გაიწვევს ბრძოლის ველზე მუხანათ მტრის წინაღმდეგ. მისი ხსენება საუკუნოთ იქნება ჩვენს შორის.

შეერთებული კრების თავმჯდ. **ი. გაბუნია.**

## საქართველო-სომხეთის ომი

**თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს რეზოლიუცია:**

თფილისის მუშათა დეპუტატების 19 დეკემბრის სხდომაზე მიღებული რეზოლიუცია ჩვენს გაზეთში შემოკლებით იყო დაბეჭდილი. ხსენებულ რეზოლიუციას ახლა ვბეჭდავთ სავსებით:

„საბჭომ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ მოისმინა მოხსენება სომხეთის საზღვარზე მომხდარ ამბების შესახებ და სთვლის დამტკიცებულათ, 1) რომ სომხეთის მთავრობას არა თუ თითონ არ გადუდგამს ნაბიჯი, რომ მშვიდობიანათ გადაჭრილიყო სადავო საკითხები ორ მოძმე ხალხთა შორის, არამედ, მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს მთავრობა არა ერთხელ შეეცადა მოეწვია სამშვიდობო კონფერენცია სადავო საკითხების გადასაჭრელათ, სომხეთის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა გადაედვა სომხეთ-საქართველოს დავის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა და კონფერენციაზე არ გამოგზავნა თავისი დელეგატები, 2) რომ სომხეთის მთავრობამ გამოაცხადა მობილიზაცია და შეტევა დაიწყო იმ დროს, როცა საქართველოს მთავრობა ძმურათ ხელს უწვდიდა და კონფერენციაზე ელოდა სომხეთის დელეგატებს. თფილისის მუშათა საბჭო, როგორც ქ. თფილისის მთელ შეკავშირებული დემოკრატიის ორგანო, პროტესტს აცხადებს სომხეთის მთავრობის ასეთ ნაბიჯებზე, რომლებიც დემოკრატიის დამღუპველია, [illegible] მთელი ძალ-ღონით მხარს დაუჭერს საქართველოს მთავრობას [illegible], ვინც ხალხთა შორის სადაო საკითხების გადაწყვეტას იარაღის საშუალებით ლამობს. ამასთანავე საბჭო ფიქრობს, რომ ომის საჩქაროთ ლიკვიდაციისათვის ერთად ერთი სწორი წინადადება ისაა, რომელიც საქართველოს მთავრობამ უკვე წამოაყენა: საომარ მოქმედების შეწყვეტა, აღდგენა სტატუს ქვო ანტე ბელი (მდგომარეობა, რომელიც იყო ომამდე) სომხეთ-საქართველოს კონფერენციის მოწვევა და ამ უბედურობის ნამდვილ დამნაშავეთა გამორკვევა, რომ ისინი შესაფერისათ დაისაჯონ იმ უბედურობისათვის, რომელიც მათ მიაყენეს დემოკრატიას. საბჭო დარწმუნებულია, რომ ნაციონალისტთაგან და სომეხ კადეტთაგან შემდგარ სომხეთის მთავრობის საქართველოს სოციალისტურ მთავრობაზე გამარჯვება ნიშნავს კონტრ რევოლიუციის გამარჯვებას რევოლიუციაზე, ნაციონალისტების—ინტერნაციონალისტებზე და ბურჟუაზიის—პროლეტარიატზე. თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭო მიმართავს სომხეთის დემოკრატიას მოწოდებით, იქონიოს გავლენა თავის მთავრობაზე, რომ შეჩერებულ იქნეს ძმათა დამღუპველი ომი".

**თფილისი. 22 დეკემბერი.** შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე თელავიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „თელავის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სომეხი წევრები დეპეშით უცხადებენ დღეს, 19 დეკემბერს, სომხეთის მთავრობას პროტესტს სანაცნში ორ ძმათა შორის უმიზეზო სისხლის დღვრისათვის. ჩვენ, სომეხი სოციალ-დემოკრატები, მუდამ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მივდიოდით ქართველ დემოკრატიასთან ერთად მტრის წინააღმდეგ და შემდეგშიაც ასევე ვიქნებით. ყოველთვის ერთად ვხვდებით იარაღით ხელში, როგორც გარეულ ისე შინაურ მტრებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაცავად. ჩვენ, სომეხ დემოკრატები, ვუცხადებთ საქართველოს მთავრობას სრულ ნდობას და ვსთხოვთ ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, გაგზავნილ იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცველათ, ქართველ დემოკრატიასთან ერთად სომხის დემოკრატიაც, რომელიც არა ნაკლებ დაიცავს საქართველოს, სადაც ისინი აღიზრდებიან და თავის მოძმე ქართველებთან ერთად უღვრიათ სისხლი სომეხთა სოციალ-დემოკრატიის ფრაქციის წევრი თელავში. (ს. დ. ხ.)

## პროვინცია

**ზუგდიდი.** თანახმად ზუგდიდის მაზრის სოც. დემოკრატიული კომიტეტის მოწოდებისა ქ. ახალ-სენაკიდან წავედით რამოდენიმე ამხ. საერობო არჩევნების საწარმოებლად. მისვლისთანავე გავანაწილეთ სამუშაო ადგილები. პირველად მე მოვხვდი ხობის რაიონში, სადაც პირველი კრება მოვახდინე ხორგის საზოგადოებაში. გავაკეთე მოხსენება მომენტზე და ერობაზე. მოხსენებას ხალხი თანაგრძნობით უსმენდა, რომლის შემდეგ გამოითქვა სურვილი არჩევნებში მხურვალე მონაწილეობის მიღებისა. აქ ესერებმა ბევრი რამეები შეპირდენ ხალხს „ოღონდ ჩვენ მოგვეცით ხმაო"—მაგრამ გამოირკვა, რომ დაპირება დაპირებად რჩებოდა და ეს ახალი „მოყვრები (როგორც მათ გააცნეს ხალხს თავი) უკმაყოფილოდ გაშორდენ კრებას. მეორე დღეს, შაბათს ვესტუმრე ხაჯალის საზოგადოებას, აქ თურმე წინა დღით ყოფილა კრება ადგილობრივი საჭიროებისათვის, სადაც დაესწრებიან ესერების წარმომადგენლები და ვინ იცის რა და რა არ უთქვამთ. მეორე დღეს ხალხი ნაკლებად დაესწრო, ვინაიდან წინა დღის კრებას დაღალულნი იყვნენ. კრებაზე იყვნენ წინა დღის წარმომადგენლები. მოჰყვნენ ჩვეულებრივად ლაპარაკს, მაგრამ როცა გაქარწყლდა მათი მაქრილი ხმები, წინა დღით გულდამშვიდებულნი სტუმრები იმ საღამოს უიმედოთ განშორდენ კრებას. მესამე დღეს არჩევნების კვირა დღე იყო, დაესწარი ზანის საზოგადოებას. მე რომ მივედი დილის ათი საათი იყო და ხალხი ნელ-ნელად გროვდებოდა. აქ მოწინააღმდეგე პარტიას დიდი ენერგია დაუხარჯავს საში დღის მუშაობით. თურმე ღამ-ღამობით დადიოდენ და კუთხური კრებებს მართავდენ და მოუწოდებდენ გლეხებს თავიანთი სიის სასარგებლოდ ხმის მიცემას. აქაც ახსნილი იქნა ერობა, მომენტი—შეეხო მიწის საკითხსაც. კამათის დროს ხშირად შესმოდა გლეხებიდან ჩუმი ლაპარაკი: „კიდევ სოციალ-დემოკრატიული პარტია, თორემ ვინ იცის ეს ახალი სტუმრები სად წაგვიყვანსო". ხალხის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო მიწის სოციალიზაციის, მაშინ ერთი ესერი აქ გუგუნებდა: „ჩვენ მიწას საკუთრებად გაძლევთ, მხოლოდ უფასოდო", მაგრამ, როდესაც აუხ-

სენით მიწის სოციალიზაცია, მაშინ გლეხებმა თქვეს: „სიტყვა სხვა და პროგრამა სხვა, აქ ნდობა შეუძლებელიაო". შევნიშნე, რომ ზანის საზოგადოება, როგორც პოლიტიკურად ისე კულტურულად მოწინავე სოფელი ყოფილა. საერთოთ ხობის რაიონში შემდეგი კარგი იყო. მეორე კვირას გადავედით ზუგდიდის ორ საარჩევნო ოლქში. ამ ოლქში მგზავრობამ ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. პარტიული მუშაობა ყველგან სუსტი აღმოჩნდა. ადგილობრივი ამხანაგებს მუშაობის უნარი არ ეტყობოდათ. ზოგიერთ მობოლშევიკო საზოგადოებაში სავალდებულოდ გამხდარა ხმა მეხუთე ნომრისთვის მიეცათ. საერთოდ ასე გამოდიოდა—სია ესერების, ხმა ბოლშევიკების. ზოგიერთი ესერების წარმომადგენლებს ასე უთქვამთ იქაური ხალხისთვის „ბოლშევიკების მოძრაობის დროს ჩვენ ჩუმად თქვენ გეხმარებოდით, მხოლოდ აშკარად შეუძლებელი გამოვლიო". ერთი მათგანი იმასაც ამბობდ: „არავითარი გადასახადი არ უნდა მოეთხოვოს ხალხს, მთავრობამ იმდენი უნდა მოჭრას ფული, რომ მთელი სახელმწიფო ხარჯები დაფაროსო". და, რასაკვირველია, ასეთი პროვოკაციის მეოხებით ხალხის გამოყვანა ერთი დღით ჩვენთვის ძნელი შეიქნა. საერთოდ ზუგდიდის მაზრაში მგზავრობის დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო სოფლის და რაიონების მილიციონერებმა. ოთხი თვეა რაც ჯამაგირი არ მიუღიათ, ყველა ამბობდა, იძულებული გავხდებით სამსახურს თავი დავანებოთო. ამას მთავრობამ დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება. როგორც გადმომცეს ხობის რაიონის კომისარი ქურდ ყაჩაღებს სასტიკად სდევნის.

ივლიანე.

## ს.-დემ. პარტიაში

(სამტრედიის ამხანაგების კონფლიქტის გასარჩევად შემდგარი პარტიული სასამართლოს ოქმიდან).

წაკითხულ იქნა დადგენილება კომიტეტისა 8 ნოემბრიდან და მუხლი საგანგებო სასამართლოსი, რომელსაც ეყრდნობა ორგანიზაცია; შემდეგ სიტყვიერი მოხსენება გააკეთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა კოპალეიშვილმა; 1) კომიტეტში პ. წულაიამ და სხ. აღძრეს დავა ტრიბუნალის საკითხის გარშემო და იხმარეს უღირსი სიტყვები კომიტეტის მიმართ; ამით დაარღვიეს სასამართლოს დადგენილება და პარტიული წესდება (მ. 1, შენ. 1 და მ. 18) ამიტომ გარიცხულ იქნენ პარტიიდან..

2) გარიცხვის შემდეგ დაიწყეს აგიტაცია მასაში და პროტესტები გზავნეს სოოლქო კომიტეტში, რაც არ შეეფერებოდა პარტიის ინტერესებს და რაც აგრეთვე ბრალდებათ არის წამოყენებული მათ წინააღმდეგ.

3) კომიტეტს, ყრილობის არჩევნების დროს და დამფუძნებელ კრებისთვის კანდიდატების დასახელების დროს დავა დაიწყო არჩევნებისა და კანდიდატების დასახელების ნიადაგზე. კომიტეტმა დაადგინა მოეწვია ცალკე ყრილობა საკოლექტივოს დელეგატებისა და დეპუტატების დასასახელებლად. კომიტეტი დაასახელებდა ზედმეტ რიცხვს 8 დეპუტატებისა და დელეგატების,—ხოლო ამ სამმა პირმა წამოაყენა სხვა კანდიდატები იმ სიის გარეშე. ეს დაუშვებელი და ლოღიკურათ შეუძლებელი იყო.

წულაია პარტიულ კრებაზე მოითხოვდა ტრიბუნალის არსებობის გაგრძელებას, როცა იგი კანონით იყო გაუქმებული და შეეძლო არსებობა ახალ სასამართლოს შემოღებამდე, ე. ი. სანამ გაუქმების ბრძანება მოუვიდ და.

დაისვა შეკითხვები.

ბრალდებულნი არ უარჰყოფენ ოქმში მოყვანილ ფაქტებს, მაგრამ უარჰყოფენ თავის დანაშაულობას. განმარტავენ, რომ საგანგებო სასამართლოს დადგენილება არ უარუყვიათ, პირიქით, მის საფუძველზე იდგნენ. პარტიული დისციპლინა არ დაურღვევიათ, პირიქით, მას იცავდნენ სავსებით. აგიტაცია პარტიიდან დათხოვნის გამო არ გაუწევიათ.

საბოლოო სიტყვას ამბობენ ორგანიზაციის წარმომადგენელნი და ბრალდებულნი, ორგანიზაციის წარმომადგენელნი მოითხოვენ ორგანიზაციის დადგენილების დამტკიცებას, ბრალდებულნი—მათ გამართლებას.

სასამართლომ დასვა კითხვები:

1) არის თუ არა დარღვევა საგანგებო სასამართლოს დადგენილებისა მე 8—18-ის და დისციპლინის კოლექტივისა და საკოლექტივოს კრებებზე წამოყენება საკითხისა ტრიბუნალის არსებობის შესახებ და შედარება კომიტეტის სიხარულისა ყაჩაღების სიხარულთან?

2) არის თუ არა დარღვევა საგანგებო სასამართლოს დადგენილებისა კომიტეტის არჩევნების დროს გ. დუნდუასა და სხვების დახასიათება, როგორც „ქურდების ხელის დამფარებლებისა?"

3) არის თუ არა დარღვევა პარტიული დისციპლინისა სადელეგატო და დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის სიის შესახებ მოთხოვნა სამტრედიის საკოლექტივოს კრებაზე დამატებითი წევრების შეტანისა კოლექტივის სიაში?

ჰქონდა თუ არა ადგილი თავის აზრის გადატანას საერთო კომიტეტის დადგენილების დასაპირისპირებლათ ძიძიგურის მიერ და თუ ჰქონდა—არის ეს დისციპლინის დარღვევა, თუ არა?

4) იყო თუ არა დარღვეული წესი განაჩენის გამოტანისა კომიტეტისაგან 8 ნოემბრის სხდომაზე, როცა პ. წულაია, ე. ძიძიგური და მ. ჯანელიძე გამორიცხულ იქნენ პარტიიდან.

5) არიან დამნაშავენი ზემოაღნიშნულ საქმეებში ბრალდებულნი პ. წულაია, ე. ძიძიგური და მიტროფანე ჯანელიძე და ღირსი პარტიიდან გამორიცხვისა, თუ არა?

განიხილა რა საქმე ამხ. პ. წულაიასი, ე. ძიძიგურის და მ. ჯანელიძისა, საგანგებო სასამართლოს დადგენილების დარღვევისა და ზემოაღნიშნულ წევრთა პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, პარტიულმა სასამართლომ, რომელსაც თავმჯდომარეობდა რ. არსენიძე, და მედიატორებათ იყვნენ: კ. ჰუმბურიძე და ვ. კორძაია, ერთხმათ დაადგინა:

1) ტრიბუნალის საკითხი წარმოსდგა ორგანიზაციაში ახალი გარემოებისა და ფაქტების გამო (მ. გ. კომიტეტის ანგარიშის განხილვა, ახალი სასამართლოს კანონის გამოცემა და სხ). ამიტომ ბრალდებულთ უფლება ქონდათ ამ საკითხზე მსჯელობის და ეს არ შეიძლება ჩაითვალოს საგანგებო სასამართლოს დადგენილების დარღვევათ; მაგრამ ბრალდებულები შეიცავდენ ამ საკითხის დაყენებით ესარგებლათ კომიტეტის წევრთა მიმართ იმ ძველი ბრალდებების გასაახლებლად (შედარება ფასდებიან კომიტეტის წევრებისა, შეკითხვა ა. ურუშაძის შესახებ და სხ), რომელიც უკვე გარჩეული და გადაჭრილი იყო საგანგებო სასამართლოსაგან და რომლის შესახებ განაჩენი უდავოთ უნდა მიეღო ორივე მხარეს.

2) საგანგებო სასამართლოს განაჩენში აღნიშნულია მხოლოდ ფაქტი კომისიის არსებობისა, რომლის წევრი იყო ამხ. გ. დუნდუა სხვებთან ერთად, და არსად არ არის აღნიშნული, რომ იგი „ხელს აფარებდა ბოროტ მოქმედებას, რომლის გამოსარკვევათ არჩეულ იყო ხსენებული კომისია. და ასეთ დასკვნისათვის არც მოიპოვება საბუთი საგანგებო სასამართლოს დადგენილებაში. ამიტომ განცხადება ამხ. მ. ჯანელიძის, რომ გ. დუნდუა და სხვები „ქურდებს ხელს აფარებენო", სრულიად არ შეეფერება საგანგებო სასამართლოს დადგენილებას; არსებით კი პარტიულ წრეებში ასეთი ბრალდების წამოყენებას საარჩევნო დახასიათების დროს, როგორც ეს მ. ჯანელიძემ ჩაიდინა, ადგილი არ უნდა ჰქონოდა, რადგან ეს მხოლოდ დეზორგანიზაციის შემტანია პარტიულ მუშაობაში.

3) კომიტეტის შედგენილ კანდიდატთა სიაში ახალი წევრების შეტანის მოთხოვნა კოლექტივის კრებაზე. ბრალდებულების მიერ არ წარმოადგენს დისციპლინის დარღვევას, პირიქით, კოლექტივებს უფლება აქვთ კომიტეტის დადგენილებაზე თავის აზრი გამოსთქვან და კომიტეტს წარუდგინონ ყურადღებაში მისაღებათ. კერძოთ ე. ძიძიგურმა, მართალია თავის განსაკუთრებული აზრი არჩევნების შესახებ გადაიტანა კოლექტივის კრებაზე, მაგრამ ამაში არავითარი დარღვევა დისციპლინისა არ არის. ეს მისი უდავო უფლება იყო.

4) 8 ნოემბრის დადგენილების გამოტანის დროს, როცა პ. წულაია, ძიძიგური და ჯანელიძე პარტიიდან გამორიცხულათ იქნენ გამოცხადებული, კომიტეტმა დაარღვია ელემენტარული უფლება ბრალდებულებისა ორი გზით: ერთი იმით, რომ არ შეატყობინა წინასწარ ყველა ბრალდებულებს, რომ მათი საქმე ირჩეოდა და არ მოიწვია ისინი სხდომაზე. მეორე იმით, რომ არ მიიღო წინადადება გ. შენგელიასი, ბრალდებულების მოწვევის შესახებ განმარტების მოსასმენათ განაჩენის გამოტანამდე.

5) დასკვნა: სამტრედიის რაიონის პარტიული კომიტეტის დადგენილება 8 ნოემბრის 1918 წლისა, რომლითაც პარტიიდან გამორიცხულათ გამოაცხადეს ამხ. პ. წულაია ე. ძიძიგური და მ. ჯანელიძე, გაუქმებულ იქნეს, რადგან იგი გამოტანილია გასამართლების ელემენტარული წესების დარღვევით, და რადგან არსებითადაც კომიტეტის დადგენილება არ შეეფერება ბრალდებულთა მოქმედებას, რომელზედაც იგი აშენებულია. მაგრამ, ვინაიდან პ. წულაიას, ე. ძიძიგურის და მ. ჯანელიძის მოქმედებიდან სჩანს მათი სურვილი და ცდა ძველი დავის განახლებისა, რომელიც ადგილობრივ მუშაობას ხელს უშლიდა, პარტიულმა სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში შემამსუბუქებელი გარემოება რომ დავის განახლებას ხელს უწყობდა მეორე მხრის ცალმხრივი მოქმედებანი, დაადგინა: გამოეცხადოს პ. წულაიას, ე. ძიძიგურს და მ. ჯანელიძეს საყვედური მათი მოქმედებისათვის და წინადადებას აძლევს, იგი დღეიდან არ გაიმეორონ. სასამართლო იმ აზრისაა, რომ, როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემ უნდა დაივიწყონ მათ შორის არსებული უთანხმოება—უკმაყოფილებანი, და ამიერიდან ურთიერთის ბრალდებაზე წარსული მოქმედებისათვის ხელი აიღონ, ან და ერთერთი მხარე დროებით მაინც გაშორდეს სამტრედიის რაიონს.

ეს დადგენილება გამოცხადდეს პარტიულ პრესაში. თავმჯდომარე: რ. არსენიძე, წევრები: ნიკოლოზ ჰუმბურიძე და ვასილ კორძაია. კვირა, 15 დეკემბერი 1918 წლისა.

# განცხადებანი

## ბიურო

საქართველოს ს.-დ. მუშათა პარტიის თფ. ლ. ორგანიზაციის მე-4 რაიონულ კოლექტივისა გადავიდა ახალ ბინაზე, ოლღას ქუჩა № 29, სახლი არამიანცისა. ღიაა დილის 10 1 საათამდე და საღამოს 3—7 საათამდე.

ამასთანავე ბიურო აცხადებს, რომ საწევრო გადასახადისა და საარჩევნო ფონდის სასარგებლოდ გადადებული დღიური ხელფასის მიღება ხდება ბიუროში ზემოთ აღნიშნულ საათების განმავლობაში.

გაიხსნა

## პერძო საავადმყოფო

მუდმივი საწოლებით.

მიიღება ყოველგვარი ხნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი დ. ი. შაშარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 [illegible] ქუჩა № 7. [illegible] ტელეფონი 16—65

გაიხსნა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დოლხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარი საათამდე მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

მიხეილის კერძო საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. ბ ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და ხახავშვ 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტუშელაშვილი ტყვებისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობელისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

მედიცინის დოქტორი

## ა. გ. მაჭავარიანი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩა. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ველის ტელ. № 49.

ექიმი

## ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი მ. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

კბილის საექიმო კაბინეთები

თედორე სამუარელის ძე ცხოველიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

სამ. ექიმი ა. ა. შიშლო-ხახანაშვილი

[illegible] დოქტორი ქენევის უნივერსიტეტისა და [illegible] შიდაკურ-ქირურგიულ კლინიკისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანგზით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ. № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი

იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი

## პ. ტ. ლორთქიფანიძე

(ბაქოდან)

მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.

ნაზეროვის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე

## მ ა ხ ვ ი ლ ა ძ ე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით [illegible] ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი ქალი

მ. ხ. კარუძეს—ბებურიშვილი.

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი

(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებით, სქესობრივი და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვის აფთიაქის გვერდით

## სახელმწიფო თეატრი „კავშირის" დასი.

წარ. № 7. პარასკევს, 27 დეკემბერს წარ. № 7.

წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა აკვ. ცაგარელისა

## ქართველი დედა

4 მოქმ.

წმინდა შემოსავალი გადაიდება ომის საჭიროებისათვის

რეჟისორი შალვა დადიანი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ადგილების ფასი მომატებულია.

მორიგი წარმომადგენელი ალ. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია. მზადდება: ტარიელ გოლუა, ანტიგონე.

(3—1)

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ოთხშაბათს, 25 დეკემბერს,

ალეშკოს, იანსის, ზ ლიპკის და პოლიაევის მონაწილეობით

## ზაზა

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ხუთშაბათს, 26 დეკემბერს,

## ლაკმე

შაბათს 28 დეკემბერს

## ჰოფმანის ზღაპრები

## საქართვ. ს.-დ. მუშ. პარტიის ცენტრ. კომ. და თფ. კომიტეტი

გადავიდა ახალ შენობაში, გოლოვინის პროსპექტი, სახლი არაქელოვისა № 24, მესამე სართული. ტელეფ. 3—67

## იყიდება ძველი გაზეთები

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ერთობის" კანტორაში—დილის 9 საათ. 2 ს, და საღამოს 5—8 საათამდე.

## განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის არსენალი ამით აცხადებს, რომ მას საჩქაროდ სჭირდება: 8 მჭედელი, 8 ქვის მკვრელი, 8 ზეინკალი თოქმაჩი, 3 ხარატი და 6 სარაჯი.

ცნობების მიღება შესახებ სამსახურის პირობებისა შეიძლება არსენალის სამდივნოში დილის 9 დან 3 საათამდე.

არსენალის უფროსი გვ. კაპიტანი გედევანიშვილი.

(3—1) საქმეთა მმართველი შავლაძე.

ტექნიკური ძალების რეგისტრაციის მიზნით ქართული ტექნიკური საზოგადოება მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ინჟინრებს და ტექნიკოსებს

დაუყოვნებლივ მოგვაწოდონ შემდეგი ცნობები: 1. სახელი და გვარი. 2. სპეციალობა. 3. წლოვანობა. 4. სად დაამთავრეთ სწავლა და როდის. 5. სად გემსახურიათ 6. როგორი მუშაობა გაწარმოებიათ. 7. სად მსახურებთ. 8. რა ჯამაგირი გაქვთ. 9. ტექნიკისა და მრეწველობის რომელ დარგში გსურთ მუშაობა. 10. რა ბეჭდვითი ნაწარმოები გაქვთ. 11. მისამართი.

ცნობები უნდა გამოიგზავნოს: თფილისი, დიდი ნთავრის ქ., № 70, ინჟ. ვ. კაკაბაძეს.

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი აწყობს მომქმედი ჯარისთვის

## შემხვევთა რაზმებს, ლაზარეთებს და მასაზრდოებელ პუნქტებს

და ამისათვის იწვევს სამსახურისთვის: ექიმებს, ფერშლებს, მოწყალების დებს და სანიტარებს.

განცხადებები მსურველებისაგან მიიღება ქალაქთა კავშირის სამკურნალო სასანიტარო განყოფილებაში. პუშკინის ქუჩა № 3. განყოფილება ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—2)

## განცხადება

## სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილი

ამით აცხადებს, რომ რადგანაც ტანისამოსისა და მოკ ხმულობის სამზადისი ნაკლებათ მოიპოვება, სამხედრო მინისტრმა გასცა ბრძანება, რომ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდებს მიეცეთ სასყიდელი იმ ტანისამოსისა, რომელსაც იგი მოიტანს, თუ ეს ტანისამოსი ვარგა სახმარებლათ და შეეფერება არსებულ ფორმას.

დაწესებულია შემდეგი ფასები:

| | |
|---|---|
| თითო მაზარაში | 75 მანეთი |
| ხალათში | 53 „ |
| შარვალში | 40 „ |
| პერანგში | 15 „ |
| პერანგის ამხანაგში | 15 „ |
| ერთ წყვილ წინდაში | 4 მან. 50 კ. |
| ერთ წყვილ წაღაში | 120 „ |
| ერთ წყვილ ბათინკაში | 105 „ |

(3—1)

ამა წლის 29 აგვისტოს (ახ. სტილ.) ბელორეჩინსკაიას 9 ვერსით მოშორებულ სტანიცა ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაფსე-არმავირის რაიონ) ბრძოლის დროს

## უკვალოდ დაიკარგა

1-ელ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე 6-ე ბატარეის კანონირი

დავით არონის ძე ელიგულაშვილი.

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს, დამეკითხებით ვ'თხოვთ,

## ჯილდოს მიიღებს

შეგატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი. მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, არონ იაკობიძე ელიგულაშვილი. (12—8)

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი. № 1.